ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2762274

ნომერი: AR1426412

თარიღი : 26.07.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 08.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის , ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 7/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ფატიმა ქურდიანი პ/ნ 22001004279
- თბილისი გლდანი IV მ/რ კორ. 113 ბ. 58

ორგანიზაცია:
- შპს ჯმ კომპანი კოდი: 400104043

ნომენკლატურა :

- კაფე, ბარი
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 2725876
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.07.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: კაფე ბარი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ ჟორჟოლიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ნიუ პოინტ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404883943

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ჯმ კომპანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400104043
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ფატიმა ქურდიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 22001004279

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 207.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 114.67
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 206.76
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 189.25
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 17.51
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 821.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 798.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 22.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k1=114.67/207=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k2=214.63/207=1.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k3=40/207=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად : 197 (№ 2725876 22/07/2016)

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: დაფიქსირდეს 09/06/2015

.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: გენ-გემგაზე დამატებით დაიტანეთ საპროექტო შენობიდან საკადასტრო საზღვრებამდე მიბმის მანძილები.

.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: წარმოდგენილ იქნას განახლებული კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი.

.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: როგორც არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებიდან ირკვევა საპროექტოდ გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი უკვე ნაწარმოებია (კეძოდ მეორე სართულზე მოწყობილია კოლონები) აღნიშნულიდან გამომდინარე, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან შესაძლებელია მოახდინოთ სრული დემონტაჟი, რის დამადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოთ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შემოწმების აქტი, ასევე განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, სადაც აღარ იქნება დატანილი მშენებარე შენობა/ნაგებობა.

.კორექტრებული პროექტს განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: განმარტეთ თუ როგორ მოხდება 01.11.10.007.030 საკადასტრო კოდზე მდგარი შენობის გვერდზე საპროექტო შენობის მშენებლობა არსებული კონდიციონერის აგრეგატისა და მილის დაუზიანებლად.

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: დაფიქსირდეს ჭრილზე მითითებული ნიშნულის შესაბამისად.

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არ შეესაბამება გენ-გეგმაზე კ3 კოეფიციენტის კროკს. აღნიშნული გადამოწმდეს და მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში.

.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: მეორე სართულის გეგმაზე "1-3" ღერძებში მოწყობილი საზაფხულო ფართით ირღვევა სამეზობლო მიჯნა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მიმართებით (01.11.10.007.030) აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოსადგენია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები მიჯნის ზონაში ვერანდის მოწყობასთან დაკავშირებით. ან აღნიშნული მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი.
ასევე სახურავის მოწყობის გეგმაზე დამატებით დაიტანეთ წყალშემკრები მილები.

.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : დაკორექტირდეს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

"ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: დაკორექტირდეს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.